საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/269

---------14--------- მაისი, 2019 წელი ქ. ბათუმი

,,2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 თებერვლის №01-09/71 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, ,,კრედიტების აღიარებისა და პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N55 დადგენილების, ,,2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შია მობილობის) შესახებ" ბსუ–ს რექტორის 2018 წლის 19 თებერვლის №01-09/71 ბრძანების, ,,ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის თამარ დავითაძის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების დასკვნის დაზუსტების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ" ბსუ–ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ლ. თურმანიძის 2019 წლის 25 მარტის №27-6 ბრძანების, იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ჟ. ჯიბლაძის 2019 წლის 7 მარტის MES 71900286633 მოხსენებითი ბარათის, კრედიტების აღიარების თანდართული განმეორებითი დასკვნისა (2019 წლის 23 აპრილის) და სტუდენტ თამარ დავითაძის 2019 წლის 8 მაისის MES 91900534774 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ,,2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ" ბსუ–ს რექტორის 2018 წლის 19 თებერვლის №01-09/71 ბრძანების დანართი 1-ის 63-ე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

N.	სტუდენტის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	საფეხური	აღიარებული კრედიტი	პირველადი საგანმანათ. ერთეული (ფაკულტეტი) ბსუ-ში	პირველადი საგანმანათ. ერთეული (პროგრამა) ბსუ-ში	მობილობის შედეგი		სწავლის წლიური საფასური (ლარი)	სემესტრი
							ძირ. საგანმანათ. ერთეული (ფაკულტეტი)	პროგრამა		
63	თამარ დავითაძე		ბაკალავრიატი	72	ეკონომიკისა და ბიზნესის	ეკონომიკა	ფიზიკა მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა, ამჟამად ზუსტ მეცნიერებათა და განათლების	მათემატიკა	2250	IV

2. დამტკიცდეს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სტუდენტის მიერ გავლილი და აღიარებული კრედიტები თანდართულის შესაბამისად (დანართი№1 - სტუდენტ თამარ დავითაძის მიერ ათვისებული კრედიტები) .
3. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და წარედგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
4. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
5. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტს-სტუდენტის პირად საქმეში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 14 მაისის № 01-08/269 ბრძანების
დანართი 1

,,2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 თებერვლის №01-09/71ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **თამარ დავითაძე** (პირადი № [redacted] 60 კრედიტის აღიარებით გადმოყვანილ იქნა ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

თამარ დავითაძე (პირადი N[redacted]) 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 29 სექტემბრის N01-09/555 ბრძანებით ჩაირიცხა ბსუ-სფიზიკა-მათემატიკისადაკომპიუტერულ მეცნიერებათაფაკულტეტისმათემატიკისსაბაკალავროსაგანმანათლებლოპროგ რამაზე; 2016-2017 სასწავლო წელს ბსუ-ს ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პერიოდში დაარეგისტრირა და აითვისა 60 (სამოცი) კრედიტი და მიიღო შეფასებები, კერძოდ:

-შემოდგომის სემესტრში მან გაიარა შემდეგი სასწავლო კურსები: ფსიქოლოგია - 2 კრედიტი; აკადემიური წერის საფუძვლები - 3 კრედიტი; საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი) – 3 კრედიტი; ფილოსოფიისშესავალი - 2 კრედიტი; ინგლისურიენა B1.1 – 5 კრედიტი; ფიზიკისშესავალი - 5 კრედიტი; მათემატიკისშესავალი - 5 კრედიტი; დაპროგრამებისსაფუძველი- 5კრედიტი;

- გაზაფხულისსემესტრში თამარდავითაძემგაიარაშემდეგისასწავლოკურსები: მათემატიკისანალიზი I – 5 კრედიტი; ანალიზისგეომეტრია I- 5კრედიტი; ალგებრა I – 5კრედიტი; მათემატიკურილოგიკა - 5კრედიტი; საინფორმაციოტექნოლოგიები II – 5 კრედიტი; ინგლისურიენა B1.2 – 5 კრედიტი.

თამარ დავითაძე 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 22 სექტემბრის N01-09/537 ბრძანებით ჩაირიცხა ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რის შემდგომაც, პირადი განცხადების საფუძველზე, ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 05 ოქტომბრის N01-09/634 ბრძანებით შეუწყდა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი ბსუ-ს ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ,,ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (სადაც თამარ დავითაძე ჩაირიცხა 2017 წელს) სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა B1.1 - 5 კრედიტი; შესავალი ფილოსოფიაში - 2 კრედიტი; აკადემიური წერა - 3 კრედიტი; საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი) – 3 კრედიტი; ფსიქოლოგია - 2 კრედიტი; დემოკრატიადამოქალაქეობა - 3 კრედიტი; საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები - 2 კრედიტი; ეკონომიქსი I – 5 კრედიტი; უმაღლესი მათემატიკა ეკონომისტებისათვის - 5კრედიტი.

,,მათემატიკის" (სადაც თამარ დავითაძე ჩაირიცხა 2016 წელს) და ,,ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შედარების საფუძველზე დგინდება, რომ ორივე საგანმანათლებლო პროგრამის პირველ სემესტრში/შემოდგომის სემესტრში (15 კრედიტის ფარგლებში) სასწავლო კურსების დასახელება და აკრედიტების რაოდენობა ემთხვევა ერთმანეთს (ე. წ. საფაკულტეტო საგნები).

თამარ დავითაძემ, როგორც ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა 2017-2018 სასწავლო წლის დაწყებამდე (2017 წლის 25 სექტემბერი) 2017 წლის 20 სექტემბერს №1111016 განცხადებით მიმართა ფაკულტეტს და მოითხოვა 2016-2017 სასწავლო წელს ბსუ-ს ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პერიოდში გავლილი საგნების შესაბამისად კრედიტების აღიარება.

თამარ დავითაძე 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასრულების შემდგომ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 თებერვლის N01-09/71 ბრძანებით შიდა მობილობის წესით 60 კრედიტის აღიარებით გადავიდა ბსუ-ს ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლების მეოთხე სემესტრიდან (გაზაფხულის სემესტრი), სტუდენტის პირად საქმეში დევს მხოლოდ ამ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ ხელმოწერილი აღიარების დასკვნა, რომლის თანახმად არ არის აღიარებული ,,ეკონომიკის" პროგრამაზე ათვისებული კრედიტები, რომელშიც უფიქსირდებოდა შეფასებები (საერთაშორისო

ურთიერთობების საფუძვლები - 58 ქულა; ეკონომიქსი I- 56 ქულა; უმაღლესი მათემატიკა ეკონომისტებისათვის - 78 ქულა).

თამარ დავითაძესთან გასაუბრების შედეგად ,,ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის თამარ დავითაძის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების დასკვნის დაზუსტების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ" ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 25 მარტის №27 – 06 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ გაარკვია, რომ მას სურვილი აქვს ,,ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტები (12 კრედიტი) უღიარდეს, როგორც თავისუფალი კომპონენტი (სათანადო კურსები და შეფასებები ასახულია ბსუ-ს სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ სისტემაში (spm.bsu.edu.ge). კომისიამ გადაწყვიტა, შევიდეს შესწორება თამარ დავითაძის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების დასკვნაში და შედგა განმეორებითი დასკვნა 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მდგომარეობით:

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ათვისებული სასწავლო კურსები			ბსუ-ს (ყოფილი ფიზიკა მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები		აღიარებული კრედ.	შეფასება	შენიშვნა
დასახელება	**კრედ.**	**შეფას.**	**დასახელება**	**კრედ.**			
ფსიქოლოგია	2	71	ფსიქოლოგია	2	2	71	
ფიზიკის შესავალი	5	54	ფიზიკის შესავალი	5	5	54	
მათემატიკის შესავალი	5	62	მათემატიკის შესავალი	5	5	62	
დაპროგრამების საფუძვლები	5	79	დაპროგრამების საფუძვლები	5	5	79	
აკადემიური წერის საფუძვლები	3	74	აკადემიური წერის საფუძვლები	3	3	74	
საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	3	68	საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	3	3	68	
ფილოსოფიის შესავალი	2	65	ფილოსოფიის შესავალი	2	2	65	
ინგლისური ენა B1.1	5	82	ინგლისური ენა B1.1	5	5	82	
მათემატიკური ანალიზი I	5	75	მათემატიკური ანალიზი I	5	5	75	
ანალიზური გეომეტრია I	5	57	ანალიზური გეომეტრია I	5	5	57	
ალგებრა I	5	84	ალგებრა I	5	5	84	
მათემატიკური ლოგიკა	5	74	მათემატიკური ლოგიკა	5	5	74	
საინფორმაციო ტექნოლოგიები II	5	81	საინფორმაციო ტექნოლოგიები II	5	5	81	
ინგლისური ენა B1.2	5	80	ინგლისური ენა B1.2	5	5	80	
			თავისუფალი კომპონენტი				
ეკონომიქსი I	5	56	ეკონომიქსი I	5	5	56	
საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები	2	58	საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები	2	2	58	
უმაღლესი მათემატიკა ეკონომისტებისათვის	5	78	უმაღლესი მათემატიკა ეკონომისტებისათვის	5	5	78	
სულ აღიარებული კრედიტები					72		

კომისიის განმეორებითი დასკვნით (2019 წლის 23 აპრილის) სულ აღიარებულია 72 კრედიტი. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სტუდენტ თამარ დავითაძეს 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მდგომარეობით სწავლის გაგრძელება შეეძლო მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლების IV სემესტრიდან (დასკვნის მიხედვით კრედიტების ნაწილი ჩაითვალა თავისუფალ კომპონენტებად, რის გამოც სტუდენტი არ სწავლობს დამატებით სპეციალობაზე).